საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური
TBILISI CITY SERVICE

N 09-2/10719
26/10/2017

10719-09-2-2-201710261444

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი"-ს

წარმომადგენელს ვახტანგ კობალაძეს

(დელისის შესახვევი 5ა. ტელ; 2 399 018)

ბატონო ვახტანგ,

2017 წლის 16 ოქტომბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურში შემოვიდა თქვენი შეტყობინება # 16894, რომელიც ეხებოდა სს „ფუდმარტი"-ს მაღაზია „სპარი"-ში (ვაჟა-ფშაველას გამზირი #2) როშენის შოკოლადის „ქენდი ნათსი არაქისით" (წითელი შეფუთვით) შეძენას, შემდგომში ლაბორატორიული კვლევის მიზნით. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხით სურსათს აღენიშნებოდა ობი და შიგთავსში მატლები.

2017 წლის 19 ოტრომბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპეტორების მიერ ადგილზე ვაჟა-ფშაველას გამზირზე # 2-ში მდებარე სუპერმარკეტ „სპარი"-ში (სს ფუდმარტი ს.კ 404460187) შესწავლი იქნა ზემოთ აღნიშნული ფაქტი. ბიზნესოპერატორს, თქვენს მიერ შეძენილი სურსათი („ქენდი ნათსი არაქისით" წითელი შეფუთვით) ამოღებული ჰქონდა ქსელიდან შემდგომში უკან გაბრუნების მიზნით.

სახელმწიფო კონტროლისას ასაწონი ტკბილეულის დახლზე განთავსებულ პროდუქციაში აღმოჩენილი იქნა მწერები (მატლის ჭუპრები), ასევე გამოირკვა, რომ საგნები (თაროები) რომლებიც უშვალო შეხებაში იყო სურსათთან არ უტარდებოდა შესაბამისი ჯერადობით და ხარისხით რეცხვა-დეზინფექცია.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 1000 ლარით, მაღაზიის გარკვეულ უბანს (ასაწონი ტკბილეულის დახლი) შეუჩერდა საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.

ასევე გაცნობებთ, რომ 2017 წლის 20 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორები იმყოფებოდნენ როშენის ფირმის ტკბილეულის იმპორტიორ ბიზნესოპერატორთან შპს „ბიდი კომპანი" (ს/კ205295296) მისამართი; გლდანის რაიონი მე-7 მიკრო, დავით ჯაბიძის ქუჩაზე მდებარე საწყობში, არაგეგმური ინსპექტირების

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

განხორციელების მიზნით. შემოწმებისას დარღვევა არ დაფიქსირდა, დაცული იყო ჰიგიენის ზოგადი წესით დადგენილი მოთხოვნები.

პატივისცემით

ვასილ ბასილაძე

სამსახურის უფროსი